



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №1/2018

2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ
გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესის განსაზღვრის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წლის 5 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს 2018 წლის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებისთვის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესი (ხარჯთაღრიცხვა) დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

პროგრამული კოდი	ხარჯთაღრიცხვა	თანხა (ლარი)
სულ	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	39,136,784
	ხარჯები	38,211,784
	შრომის ანაზღაურება	16,917,163
	საქონელი და მომსახურება	8,928,771
	სხვა ხარჯები	12,365,850
	არაფინანსური აქტივების ზრდა	925,000
06 02 01	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	28,272,634
	ხარჯები	27,347,634
	შრომის ანაზღაურება	16,747,663
	საქონელი და მომსახურება	8,095,971
	სხვა ხარჯები	2,504,000
	არაფინანსური აქტივები	925,000
06 02 02	არჩევნებისათვის მოხელეთა მომზადება - გადამზადება	1,002,300
	ხარჯები	1,002,300
	შრომის ანაზღაურება	169,500
	საქონელი და მომსახურება	832,800
06 02 03	საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი	2,242,850
	ხარჯები	2,242,850
	სხვა ხარჯები	2,242,850
06 02 04	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება	7,619,000
	ხარჯები	7,619,000
	სხვა ხარჯები	7,619,000



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №2/2018

„ცესკოს წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 27 ივნისის №11/2017 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „ცესკოს წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 27 ივნისის №11/2017 დადგენილების (სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი – www.matsne.gov.ge, 28/06/2017, 010240060.15.008.016326) დანართით განსაზღვრული ცესკოს წევრებისა და საოლქო საარჩევნო კომისიების არჩეულ წევრთა შრომით ურთიერთობასთან დაკავშირებული და სამსახურებრივი შეუთავსებლობის საკითხების:

1. მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) შრომის ანაზღაურება (ხელფასი) – თანამდებობრივი სარგო, აგრეთვე ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში – შესაბამისი სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო.“.

2. მე-6 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების პერიოდში კომისიის წევრს უნარჩუნდება შრომის ანაზღაურება, გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა.“;

3. მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. კომისიის წევრის შრომის ანაზღაურება

1. კომისიის წევრს უფლება აქვს, კომისიაში არჩევის დღიდან მისი უფლებამოსილების შეწყვეტის დღემდე მიიღოს საქართველოს კანონით „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ განსაზღვრული შრომის ანაზღაურება.

2. შრომის ანაზღაურება კომისიის წევრს ეძლევა უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3. საარჩევნო/სარეგერენდუმო პერიოდში, გარდა შუალედური არჩევნების პერიოდისა, ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებს ეძლევათ თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა.

4. ამ მუხლის მესამე პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობა შუალედური არჩევნების პერიოდში ეძლევათ მხოლოდ იმ საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს, რომელშიც იმართება შუალედური არჩევნები.

5. ცესკოს და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს შეიძლება მიეცეთ სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ცესკოს განკარგულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

6. ცესკოს და საოლქო კომისიების წევრთა შრომის ანაზღაურების ოდენობას განსაზღვრავს ცესკო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.“;

4. მე-9 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 9. კომისიის წევრის სახელფასო დანამატი

კომისიის წევრს ამ დადგენილებით გათვალისწინებული სახელფასო დანამატი შეიძლება მიეცეს:

ა) შესრულებული ზეგანაკვეთური სამუშაოს შესაბამისად ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის;

ბ) საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში შექმნილ სხვადასხვა კომისიაში, საბჭოში, სამუშაო ჯგუფში საქმიანობის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობის გამო;

გ) საერთო, შუალედური ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა რიგგარეშე არჩევნების დროს, შესრულებული ზეგანაკვეთური და დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის გამო.“.

5. მე-10 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომისიის წევრის წახალისება ხორციელდება ცესკოს განკარგულებით განსაზღვრული წესის შესაბამისად.“.

6. მე-12 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. არასაარჩევნო პერიოდში, კომისიის წევრის ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ და ამ დადგენილების შესაბამისად.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ქვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
დადგენილება №3/2018

„არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს №27/2017 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს №27/2017 დადგენილებით (სსმ ვებგვერდი, www.matsne.gov.ge, 09/08/2017, 010190020.15.008.016341) დამტკიცებულ აკრედიტაციის წესში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. პირველი მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არასაარჩევნო პერიოდში განაცხადების წარდგენა აკრედიტაციის მოსაპოვებლად, შესაბამის საარჩევნო კომისიებში, შესაძლებელია სამუშაო დღის 18:00 საათამდე.“;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. აკრედიტაციის მოსაპოვებლად შესაბამისი ინფორმაცია და საჭირო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, აგრეთვე განაცხადის წარდგენის წესი ქვეყნდება ცესკოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ, ცესკოს ოფიციალურ ვებგვერდზე.”

2. მე-3 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ცესკოს ან/და იმავდროულად ერთი ან ერთზე მეტი საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით მედიასაშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებს ცესკოს მდივანი, ხოლო ერთი საოლქო საარჩევნო კომისიის შემთხვევაში – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.”;

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. შესაბამისი საარჩევნო კომისიის მდივანი, განცხადებას აკრედიტაციის გაცემის თაობაზე განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი განაცხადის კომისიაში შემოსვლიდან არაუადრეს 7 და არაუგვიანეს 14 სამუშაო დღისა, რომელიც ფორმდება შესაბამისი კომისიის მდივნის განკარგულებით.”;

გ) მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. განცხადებას უნდა დაერთოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, ცესკოში/საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების წარდგენამდე, ბოლო 10 დღის ვადაში გაცემული ამონაწერი მედიასაშუალებების სააგენტოში რეგისტრაციის შესახებ, ხოლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომალწილობისათვის შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში - განცხადებას უნდა დაერთოს განცხადების ხელმძღვანელი პირის წარმომადგენლობაზე/ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი.”;

დ) მე-6 პუნქტის „ბ” და „გ” ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მედიასაშუალებების წარმომადგენელთა სია (სახელი, გვარი, პირადი ნომერი);

გ) მედიასაშუალებების საფოსტო მისამართი, საკონტაქტო ტელეფონი, ასევე ელექტრონული ფოსტის მისამართი და ვებგვერდის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).”;

ე) მე-7 პუნქტის:

ე.ა) „ა” ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ე.ბ) „ბ” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) მედიასაშუალებების წარმომადგენელთა პირადობის მოწმობის/პასპორტის ფოტოასლები;“;

ე-გ) „გ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

ვ) მე-8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი განცხადება ან/და ამ მუხლის მე-4-მე-7 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტაცია არ შეესაბამება ამ დადგენილებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მედიასაშუალებას/მედიასაშუალებების შესაბამის წარმომადგენელს უარი ეთქმება აკრედიტაციის მიღებაზე.“.

3. მე-5 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ვადაა აკრედიტაციის მოწმობის გაცემიდან 1 წელი.“;

ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საარჩევნო პერიოდში მედიასაშუალებების ამ წესით დადგენილი აკრედიტაციის მოქმედება ჩერდება და მათი მოქმედება განახლდება საარჩევნო პერიოდის დასრულებიდან აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის მოქმედების ვადით.“;

გ) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. ამ დადგენილებით განსაზღვრული წესით მიღებული აკრედიტაციის მოქმედება ასევე შეჩერდება შუალედური არჩევნების/მერის რიგგარეშე არჩევნების დროს, იმ საარჩევნო ოლქში/ოლქებში, სადაც ასეთი არჩევნები იმართება და განახლდება შესაბამისი საარჩევნო პერიოდის დასრულებიდან აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის მოქმედების ვადით.“.

4. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმა მტკიცდება ცესკოს განკარგულებით და ძალაშია მედიასაშუალებების წარმომადგენლის პირადობის მოწმობასთან/პასპორტთან ერთად.“.

მუხლი 2. ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №1/2018

„საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 28 აპრილის №25/2017 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 5 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. „საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 28 აპრილის №25/2017 განკარგულების პირველ მუხლში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 1. დამტკიცდეს:

1. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადი დანართი 1-ის შესაბამისად;

2. პროგრამული კოდი 06 02 03 - საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯები დანართი 2-ის შესაბამისად.

3. პროგრამული კოდი 06 02 04 - საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენელთა დაფინანსება დანართი 3-ის შესაბამისად“.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2018 წლის საბიუჯეტო განაცხადი		2018 წლის დაზუსტებული ვეგმა
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	67,058,150
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	531
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	1,170
	ხარჯები	66,072,150
	შრომის ანაზღაურება	26,898,539
	საქონელი და მომსახურება	12,192,761
	გრანტები	5,000
	სოციალური უზრუნველყოფა	32,000
	სხვა ხარჯები	26,943,850
	არაფინანსური აქტივების ზრდა	986,000
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	12,160,866
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	506
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	70
	ხარჯები	12,145,866
	შრომის ანაზღაურება	9,303,376
	თანამდებობრივი სარგო	9,136,800
	საკლასო დანამატი	4,536
	დანამატი	62,040
	ფულადი ჯილდო	100,000
	საქონელი და მომსახურება	2,767,490
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	1,201,200
	მივლინება	117,000
	მივლინება ქვეყნის შიგნით	47,000
	მივლინება ქვეყნის გარეთ	70,000
	ოფისის ხარჯები	633,495
	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	9,000
	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	7,500
	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები	11,800
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების / დემონტაჟის ხარჯი	26,000
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	10,490
	ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი	10,000
	რეცხვის, კიშმენდის და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	66,000
	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	11,500
	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	27,000
	კავშირგაბმულობის ხარჯი	170,205
	საფოსტო მომსახურების ხარჯი	5,000
	კომუნალური ხარჯი	279,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	71,000
	სამედიცინო ხარჯები	2,300
	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	138,800
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	90,000
	ა/მ მიმდინარე რემონტის ხარჯები	40,000
	ექსპლუატაციის, მოვლა-შენახვის და სათადარიგო ნაწილების შეძენის ხარჯი	3,800
	ტრანსპორტის დაქირავება (გადაზიდვა-გადაყვანა)	5,000
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	603,695
	ექსპერტიზის და შემოწმებების ხარჯი	5,000
	რეკლამის ხარჯი	100,000
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	194,000
	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	30,000
	აუდიტორიული მომსახურების ხარჯი	5,000
	შენობა-ნაგებობების დაცვის ხარჯი	166,815
	სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	102,880
	გრანტები	5,000
	სოციალური უზრუნველყოფა	30,000
	დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	30,000

	ფულადი ფორმით	30,000
	სხვა ხარჯები	40,000
	სხვადასხვა ხარჯები	40,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	40,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15,000
	ძირითადი აქტივები	15,000
	მანქანა დანადგარები და ინვენტარი	15,000
	სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	15,000
06 02	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	39,136,784
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	1,085
	ხარჯები	38,211,784
	შრომის ანაზღაურება	16,917,163
	საქონელი და მომსახურება	8,928,771
	გრანტები	
	სოციალური უზრუნველყოფა	
	სხვა ხარჯები	12,365,850
	არაფინანსური აქტივების ზრდა	925,000
06 02 01	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	28,272,634
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	850
	ხარჯები	27,347,634
	შრომის ანაზღაურება	16,747,663
	თანამდებობრივი სარგო	16,409,430
	დანამატი	243,553
	ფულადი ჯილდო	94,680
	საქონელი და მომსახურება	8,095,971
	შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	798,000
	მივლინება	108,000
	მივლინება ქვეყნის შიგნით	78,000
	მივლინება ქვეყნის გარეთ	30,000
	ოფისის ხარჯები	3,129,306
	საკანცელარიო, საწერ-სახაზავი ქაღალდის, საბუღალტრო ბლანკების, ბიულეტენების, საკანცელარიო წიგნების და სხვა ანალოგიური მასალების შეძენა	696,275
	კომპიუტერული პროგრამების შეძენის და განახლების ხარჯი	93,750
	ნორმატიული აქტების, სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო სასტამბო ხარჯი	510,300
	მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენა და დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი	330,000
	საოფისე ინვენტარის შეძენა და დამონტაჟების ხარჯი	348,000
	ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი	227,146
	რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი	11,000
	შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი	630,000
	საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი	10,000
	კავშირგაბმულობის ხარჯი	101,835
	საფოსტო მომსახურების ხარჯი	93,000
	კომუნალური ხარჯი	78,000
	წარმომადგენლობითი ხარჯები	399,000
	რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	96,000
	ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები	485,600
	საწვავ/საპოხი მასალების შეძენის ხარჯი	54,000
	ტრანსპორტის დაქირავების(გადაზიდვა-გადაყვანის) ხარჯი	431,600
	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	3,080,065
	რეკლამის ხარჯი	2,000,000
	სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი	617,000
	საკონსულტაციო, სანოტარო, თარჯიმნის და თარგმნის მომსახურების ხარჯი	80,000
	შენობა-ნაგებობის დაცვის ხარჯი	185,605
	სხვა დანარჩენი საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯი	197,460

	სხვა ხარჯები	2,504,000
	სხვადასხვა ხარჯები	2,504,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2,504,000
	არაფინანსური აქტივები	925,000
	შენიშნა-ნაგებობები	638,000
	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	287,000
06 02 02	არჩევნებისათვის მოხელეთა მომზადება - გადაზადება	1,002,300
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	235
	ხარჯები	1,002,300
	შრომის ანაზღაურება	169,500
	საქონელი და მომსახურება	832,800
06 02 03	საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი	2,242,850
	ხარჯები	2,242,850
	სხვა ხარჯები	2,242,850
	სხვადასხვა ხარჯები	2,242,850
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	2,242,850
06 02 04	საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება	7,619,000
	ხარჯები	7,619,000
	სხვა ხარჯები	7,619,000
	სხვადასხვა ხარჯები	7,619,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	7,619,000
06 02 05 *	საარჩევნო სუბიექტის საარჩევნო კამპანიის ხარჯების დაფარვა	
	ხარჯები	
	სხვა ხარჯები	
	სხვადასხვა ხარჯები	
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	
06 03	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	1,225,500
	შტატით გათვალისწინებულ მომუშავეთა რიცხოვნობა	25
	შტატგარეშე მომუშავეთა რიცხოვნობა	15
	ხარჯები	1,179,500
	შრომის ანაზღაურება	678,000
	საქონელი და მომსახურება	496,500
	სოციალური უზრუნველყოფა	2,000
	სხვა ხარჯები	3,000
	არაფინანსური აქტივების ზრდა	46,000
06 04	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	14,535,000
	ხარჯები	14,535,000
	სხვა ხარჯები	14,535,000
	სხვადასხვა ხარჯები	14,535,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	14,535,000
06 04 01	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	9,690,000
	ხარჯები	9,690,000
	სხვა ხარჯები	9,690,000
	სხვადასხვა ხარჯები	9,690,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	9,690,000
06 04 02	პარტიებისა და არასამთავრობო სექტორის განვითარება	4,845,000
	ხარჯები	4,845,000
	სხვა ხარჯები	4,845,000
	სხვადასხვა ხარჯები	4,845,000
	სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები	4,845,000

* არ არის გათვალისწინებული საარჩევნო კამპანიისას გაწეული ხარჯების დასაფარავად ერთჯერადად გასაცემი თანხები (საქართველოს საარჩევნო კოდექსი მუხლი 56, პუნქტი 1.), რადგან შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს რამდენი სუბიექტი გადალახავს ხსენებულ ნორმით დადგენილ ბარიერს.

საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯი - 060203

პოლიტიკური პარტია/საარჩევნო სუბიექტი	ხმები	გაანგარიშება	ლარი დაზუსტებული 2018
პგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	838,154	2,514,462	600,000
პგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	98,530	295,590	295,590
პგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	49,130	147,390	147,390
პგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	256,547	256,547	200,000
პგ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“			200,000
პგ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“			200,000
პგ „ევროპული საქართველო“	156,232	234,348	234,348
პგ „მომძრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“			234,348
სულ			2,111,674

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა დაფინანსება - 060204

ლარი

პოლიტიკური პარტია/საარჩევნო სუბიექტი	დანამატი თითო უბანზე	დანამატი თითო ოლქზე	დანამატი სულ 3700 უბანზე და 73 ოლქზე
პგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“	100	150	380,950
პგ „თავისუფალი დემოკრატები“	100	150	380,950
პგ „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“	100	150	380,950
პგ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“	100	150	380,950
პგ „საქართველოს ქრისტიან-კონსერვატიული პარტია“	100	150	380,950
პგ „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“	100	150	380,950
პგ „ევროპული საქართველო-მოდრაობა თავისუფლებისთვის“	100	150	380,950
პგ „მოდრაობა თავისუფალი საქართველოსთვის“	100	150	380,950
პგ „დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველო“	100	150	380,950
პგ „თავისუფალი საქართველო“	100	150	380,950
პგ „ქრისტიან - დემოკრატიული მოძრაობა“	100	150	380,950
პგ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“	100	150	380,950
პგ „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირი“	100	150	380,950
პგ „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზა“	100	150	380,950
პგ „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“	100	150	380,950
პგ „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“	100	150	380,950
პგ „მოდრაობა სახელმწიფო ხალხისთვის“	100	150	380,950
პგ „სამოქალაქო პლატფორმა - ახალი საქართველო“	100	150	380,950
სულ			6,857,100



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №2/2018

№1 მთაწმინდის, №7 ჩულურეთის, №12 გურჯაანის, №28 დუშეთის, №29 ყაზბეგის, №37 ახალციხის, №52 ბაღდათისა და №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 5 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-12 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს კონკურსები №1 მთაწმინდის, №7 ჩულურეთის, №12 გურჯაანის, №28 დუშეთის, №29 ყაზბეგის, №37 ახალციხის, №52 ბაღდათისა და №79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2018 წლის 8 იანვრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.), 10:00 საათიდან – 18:00 საათამდე, 2018 წლის 22 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 3. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამდივნო.

მუხლი 4. სამდივნოს დაევალოს კომპეტენციის ფარგლებში, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების შესრულება.

მუხლი 5. სამდივნოს ზედამხედველობას ახორციელებს ცესკოს წევრი არჩილ ანასაშვილი.

მუხლი 6. სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ შუკაკიძე - სამდივნოს ხელმძღვანელი;
2. ნინო უძილაური;
3. ნანა კიკნაძე;
4. ნათია თუთარაშვილი.

მუხლი 7. სამდივნო კონკურსების დამთავრების შემდეგ წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

2018 წლის 5 იანვრის №2/2018 განკარგულების

დანართი

№	საოლქო საარჩევნო კომისიის სრული დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსიების ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	№1 მთაწმინდის საოლქო საარჩევნო კომისია	2	950 ლარი
2.	№7 ჩუღურეთის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1000 ლარი
3.	№12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია	2	1000 ლარი
4.	№28 დუშეთის საოლქო საარჩევნო კომისია	2	950 ლარი
5.	№29 ყაზბეგის საოლქო საარჩევნო კომისია	3	900 ლარი
6.	№37 ახალციხის საოლქო საარჩევნო კომისია	1	950 ლარი
7.	№52 ბაღდათის საოლქო საარჩევნო კომისია	1	900 ლარი
8.	№79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1100 ლარი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №3/2018

საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა,
კომისიის წევრთა, ცესკოს აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და შრომის
ანაზღაურების (სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო) გაცემის წესის დამტკიცების
შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-9 მუხლის
მე-3 პუნქტის და 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს
კანონის 58-ე და 59-ე მუხლების, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“
საქართველოს კანონის მე-9, მე-11, მე-16, მე-17, 23-ე, 24-ე, 26-ე, 28-ე მუხლების საფუძველზე,
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების
ხელმძღვანელ პირთა, წევრთა, ცესკოს აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და შრომის
ანაზღაურების (სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო) გაცემის წესი დანართის
შესაბამისად.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა, კომისიის წევრთა, ცესკოს აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და შრომის ანაზღაურების (სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო) გაცემის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა, კომისიის წევრთა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (შემდგომში ცესკო) აპარატის თანამშრომელთა (შემდგომში საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე) ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, საარჩევნო პერიოდში ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის, ასევე მათთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის წახალისების და სახელფასო დანამატისა გაცემის საკითხებს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელე - საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირები, კომისიის წევრები და ცესკოს აპარატის თანამშრომლები;
- ბ) შრომის ანაზღაურება - სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო.

მუხლი 3. წახალისების ფორმები

1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა წახალისების ფორმებია:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) ფულადი ჯილდოს გაცემა;
- გ) ფასიანი საჩუქრის გაცემა.

2. ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით შესაძლებელია დაწესდეს არამატერიალური წახალისების განსხვავებული ფორმები.

3. ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს წახალისების რამდენიმე ფორმა.

4. წახალისების ნებისმიერი ფორმის გამოყენება შემდგომში არ ზღუდავს დისციპლინური გადაცდომისას შესაბამისი პირის პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

მუხლი 4. მადლობის გამოცხადებისა და ფასიანი საჩუქრის გაცემის წესი

1. მადლობის გამოცხადება ან/და ფასიანი საჩუქრის გაცემა, როგორც წახალისების ფორმა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
2. პირს, რომლის მიმართაც წახალისების ფორმად გამოყენებულ იქნა მადლობის გამოცხადება, გადაეცემა მადლობის სიგელი, რომლის ფორმაც მტკიცდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
3. ფასიანი საჩუქარი გაიცემა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში.
4. მადლობის გამოცხადება და ფასიანი საჩუქრის გაცემა ხდება უშუალო ხელმძღვანელის ან შესაბამისი კომისიის ხელმძღვანელი პირის წარდგინებით.
5. ცესკოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების შემთხვევაში, წარდგინებას უნდა ერთოდეს მოხელის შეფასების შედეგების შესახებ ინფორმაცია და დასაბუთება, რომლის საფუძველზეც მას შეიძლება განესაზღვროს წახალისების ერთი ან რამდენიმე ფორმა.
6. მადლობის გამოცხადების ან/და ფასიანი საჩუქრის გაცემის შესახებ წარდგინება გადაეგზავნება ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტს, რომელიც მასალებს ამზადებს 2 კვირის ვადაში.

მუხლი 5. ფულადი ჯილდოს გაცემის წესი

1. „საჯარო სამსახურის შესახებ” საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფულადი ჯილდო ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, მიეცემა აპარატის იმ პროფესიულ საჯარო მოხელეს, რომელმაც შეფასების შედეგად მიიღო „საუკეთესო” ან „კარგი” შეფასება, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ” საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.
2. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა, კომისიის წევრთა და აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა მიმართ დაკისრებული უფლებამოსილებების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის, ან/და განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის

დავალების შესრულებისათვის, უშუალო ხელმძღვანელი პირის წარდგინებით, ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, შესაძლებელია მიეცეს ფულადი ჯილდო „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

3. ცესკოს თავმჯდომარის ჯილდოს განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება თავად ცესკოს თავმჯდომარეს.

4. წლის განმავლობაში ერთ პირზე გაცემული ფულადი ჯილდოს საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მის მიერ დაკავებული თანამდებობისათვის/პოზიციისათვის განკუთვნილი თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს.

5. ფულადი ჯილდო გაიცემა ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით და უნდა შეიცავდეს ფულადი ჯილდოს გაცემის საფუძველსა და ოდენობას.

მუხლი 6. სახელფასო დანამატის გაცემის წესი

1. ცესკოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის ეძლევა სახელფასო დანამატი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. ცესკოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეს სახელფასო დანამატი მიეცემა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, უშუალო ხელმძღვანელი პირის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობისა და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

3. ცესკოს აპარატის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის შეიძლება მიეცეს სახელფასო დანამატი.

4. ცესკოს აპარატში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ საჯარო მოსამსახურეზე, სახელფასო დანამატის გაცემის უფლებამოსილება გამომდინარეობს ხელშეკრულების პირობებიდან და ხორციელდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, უშუალო ხელმძღვანელი პირის წარდგინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

5. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებს და კომისიის წევრებს ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის შეიძლება მიეცეთ სახელფასო დანამატი.

6. ცესკოსა და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირებსა და კომისიის წევრებზე სახელფასო დანამატის გაცემა ხორციელდება ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი ზღვრული ოდენობის და შესაბამისი ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ფარგლებში.

7. ცესკოს თავმჯდომარის სახელფასო დანამატის განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება თავად ცესკოს თავმჯდომარეს.

8. სახელფასო დანამატის ერთდროული ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი თანამდებობისათვის/პოზიციისთვის გათვალისწინებულ ერთი თვის თანამდებობრივ სარგოს, ხოლო წლის მანძილზე მიღებული მთლიანი სახელფასო დანამატი, თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის-20%ს.

მუხლი 7. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებზე შრომის ანაზღაურების (სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო) გაცემის სხვა საფუძვლები და წესი

1. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებზე შესაძლებელია გაიცეს სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო საერთო არჩევნების, შუალედური ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა რიგგარეშე არჩევნების დროს, შესრულებული ზეგანაკვეთური და დასვენების/უქმე დღეებში საქმიანობის გამო, ასევე საპასუხისმგებლო, განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის.

2. შუალედური ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა რიგგარეშე არჩევნების დროს სახელფასო დანამატის მიმღებ საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეთა რაოდენობას და სახელფასო დანამატის ოდენობას, კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, ბრძანებით ადგენს ცესკოს თავმჯდომარე.

3. ამ მუხლით განსაზღვრული სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო გაიცემა ამავე მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

საქართველოს ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელ პირთა, წევრთა, ცესკოს აპარატის თანამშრომელთა წახალისებისა და შრომის ანაზღაურების (სახელფასო დანამატი, ფულადი ჯილდო) გაცემის წესის გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება ცესკოს განკარგულებით.



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №4/2018

არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიაში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის
სხვა საშუალებების წარმომადგენელის აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის
ფორმის დამტკიცების შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-14 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიის სხდომებზე დასწრების და კომისიის სხდომების გადაღების მიზნით პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა აკრედიტაციის წესის განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 8 აგვისტოს №27/2017 დადგენილებით დამტკიცებულის წესის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. დამტკიცდეს არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიაში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელის სააკრედიტაციო მოწმობა (ფორმა №6-1.65.02) თანდართული ნიმუშის შესაბამისად.

მუხლი 2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „არასაარჩევნო პერიოდში საარჩევნო კომისიაში პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენელის აკრედიტაციის დამადასტურებელი მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2017 წლის 24 ნოემბრის №288/2017 განკარგულება.

მუხლი 3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 4. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

**მასმედის აკრედიტაციის მოწმობა № _____
არასაარჩევნო პერიოდი**

[სახელი და გვარი]

აკრედიტირებულია [ორგანიზაციის სახელ-
წოდება] წარმომადგენლად _____
_____ საარჩევნო კომისიაში.

საარჩევნო კომისიის მდივანი
გაცემულია 20__ წლის _____
მაღაშია პირადობის მოწმობასთან/პასპორტთან ერთად 1 წლის ვადით.





საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №5/2018

№46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის არჩევის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-10 პუნქტების საფუძველზე გამოცხადებულ ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატებიდან, აკმაყოფილებს რა საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-11 - მე-13 და მე-17 პუნქტების მოთხოვნებს და ამავდროულად, სახელობითი კენჭისყრის შედეგების შესაბამისად მიიღო რა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტითა და მე-20 მუხლის მე-16 პუნქტით დადგენილი ხმების საჭირო ოდენობა, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-19 მუხლის მე-4 პუნქტის, მე-20 მუხლის მე-7, მე-10 და მე-16 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. №46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრად არჩეულ იქნეს ირინა კონდრატიევა.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №6/2018

№12 გურჯაანის, №20 რუსთავის, №22 მარნეულის, №27 მცხეთის, №30 კასპის, №46
ლენტეხის, №60 ოზურგეთის, №61 ლანჩხუთის, №62 ჩოხატაურისა და №64 სენაკის
საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად
შესარჩევი კონკურსების გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 15 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-12 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს კონკურსები №12 გურჯაანის, №20 რუსთავის, №22 მარნეულის, №27 მცხეთის, №30 კასპის, №46 ლენტეხის, №60 ოზურგეთის, №61 ლანჩხუთის, №62 ჩოხატაურისა და №64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2018 წლის 16 იანვრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.), 10:00 საათიდან – 18:00 საათამდე, 2018 წლის 29 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 3. საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების შესარჩევი კონკურსების ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამდივნო.

მუხლი 4. სამდივნოს დაევალოს კომპეტენციის ფარგლებში, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს

ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების შესრულება.

მუხლი 5. სამდივნოს ზედამხედველობას ახორციელებს ცესკოს წევრი ხათუნა სხირტლაძე.

მუხლი 6. სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ შუკაკიძე - სამდივნოს ხელმძღვანელი;
2. ნინო უძილაური;
3. ნანა კიკნაძე;
4. ნათია თუთარაშვილი;
5. თამარ რევაზიშვილი.

მუხლი 7. სამდივნო კონკურსების დამთავრების შემდეგ წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის

2018 წლის 15 იანვრის №6/2018 განკარგულების

დანართი

№	საოლქო საარჩევნო კომისიის სრული დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსიების ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	№12 გურჯაანის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1000 ლარი
2.	№20 რუსთავის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1050 ლარი
3.	№22 მარნეულის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1000 ლარი
4.	№27 მცხეთის საოლქო საარჩევნო კომისია	1	950 ლარი
5.	№30 კასპის საოლქო საარჩევნო კომისია	1	950 ლარი
6.	№46 ლენტეხის საოლქო საარჩევნო კომისია	1	900 ლარი
7.	№60 ოზურგეთის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1000 ლარი
8.	№61 ლანჩხუთის საოლქო საარჩევნო კომისია	2	950 ლარი
9.	№62 ჩოხატაურის საოლქო საარჩევნო კომისია	2	900 ლარი
10.	№64 სენაკის საოლქო საარჩევნო კომისია	1	950 ლარი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №7/2018

№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ა. ცხოვრებაძის უფლებამოსილების
ვადამდე შეწყვეტის თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წლის 22 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 29-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ი“ ქვეპუნქტისა, მე-7 პუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 108-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. ვადამდე შეუწყდეს უფლებამოსილება №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრს ალექსანდრე ცხოვრებაძეს.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №8/2018

№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად
შესარჩევი კონკურსის გამოცხადებისა და სამდივნოს შექმნის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 22 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-20 მუხლის მე-6 და მე-12 პუნქტების, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. გამოცხადდეს კონკურსი №5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის ვაკანტური ადგილის დასაკავებლად, დანართის შესაბამისად.

მუხლი 2. საბუთები მიიღება 2018 წლის 23 იანვრიდან ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში (მისამართი: ქ. თბილისი, 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ.), 10:00 საათიდან – 18:00 საათამდე, 2018 წლის პირველი თებერვლის ჩათვლით.

მუხლი 3. საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის შესარჩევი კონკურსის ჩატარების ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფის მიზნით, შეიქმნას სამდივნო.

მუხლი 4. სამდივნოს დაევალოს კომპეტენციის ფარგლებში, „საოლქო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 2 მარტის №10/2012 დადგენილების შესრულება.

მუხლი 5. სამდივნოს ზედამხედველობას ახორციელებს ცესკოს წევრი ხათუნა სხირტლამე.

მუხლი 6. სამდივნო განისაზღვროს შემდეგი შემადგენლობით:

1. თამარ შუკაკიძე – სამდივნოს ხელმძღვანელი;
2. ნინო უძილაური;
3. ნათია თუთარაშვილი;
4. თამარ რევაზიშვილი;
5. ნანა კიკნაძე.

მუხლი 7. სამდივნო კონკურსების დამთავრების შემდეგ წყვეტს საქმიანობას.

მუხლი 8. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 9. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
2018 წლის 22 იანვრის №8/2018 განკარგულების
დანართი

№	საოლქო საარჩევნო კომისიის სრული დასახელება	საოლქო საარჩევნო კომისიაში არსებული ვაკანსიების ოდენობა	თანამდებობრივი სარგო
1.	№5 ისნის საოლქო საარჩევნო კომისია	1	1050 ლარი



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია
განკარგულება №9/2018

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი მორიგი საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებების განსაზღვრის შესახებ

ქ. თბილისი

2018 წლის 22 იანვარი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 77-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2012 წლის 3 თებერვლის №7/2012 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით თანდართული გრანტის გაცემის წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ადგენს:

მუხლი 1. სსიპ - საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ გამოსაცხადებელი მორიგი საგრანტო კონკურსის დაფინანსების მიმართულებებად განისაზღვროს:

1. ახალგაზრდა ამომრჩეველი და სამოქალაქო აქტიურობა საზოგადოებრივ - პოლიტიკურ (საარჩევნო) პროცესში;

2. პოლიტიკური პარტიების საარჩევნო შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობა.

მუხლი 2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6) მისი მიღებიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე

თამარ ჟვანია

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი